საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 25 იანვარი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/21

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის N MES 1 22 0000065812 ბრძანების, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებისა (ოქმი N32) და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 24 იანვრის N 03 წერილის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან და დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.

2. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გადაყვანილ იქნან კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დღემდე მოქმედი სასწავლო სტრუქტურის გათვალისწინებით, ხოლო 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხული კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ახალი სასწავლო სტრუქტურის გათვალისწინებით.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**